

კითხვები და პასუხები



კითხვა 1. ვის შეუძლია მიიღოს მონაწილეობა დამოუკიდებელი პარტნიორების აღდგენის აქციაში?

დამოუკიდებელ პარტნიორებს, პრივილეგირებულ კლიენტებს და სუპერვაიზერებს, რომელთა ID-ის მოქმედება შეჩერებულია წლიური შენატანის გადაუხდელობის გამო (შემდგომში „აღდგენილი“).

დამოუკიდებელ პარტნიორებს და პრივილეგირებულ კლიენტებს, რომელთა წლიური შენატანის გადახდის ვადა 90 დღეზე მეტი ხნის წინ გავიდა (შემდგომში „რეაქტივირებული“).

მონაწილე ქვეყნები: რუსეთი, ყაზახეთი, ბელარუსი, მონღოლეთი, ყირგიზეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი.

კითხვა 2. შემიძლია თუ არა ჩემი ID-ის აღდგენა გაყიდვების ცენტრში?

რუსეთი: არა, რუსეთის ტერიტორიაზე ცენტრების მუშაობა შეჩერებულია. ID-ის აღსადგენად დარეკეთ ცხელ ხაზზე.

ყაზახეთი, ყირგიზეთი, ბელარუსი, მონღოლეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი: დიახ, შეგიძლიათ. ID-ის აღდგენისთანავე, გაყიდვების ცენტრში გთავაზობთ შეკვეთის განთავსებას თქვენი ფასდაკლების აქტივაციისთვის. შეკვეთა განთავსდება 35%, 42% ან 50%-იანი* ფასდაკლებით.

კითხვა 3. რამდენი ხნით იქნება ძალაში დამოუკიდებელი პარტნიორების აღდგენის აქცია?

აქციის ხანგრძლივობაა 6 თვე, 2024 წ. 18 ნოემბრიდან - 2025 წ. 30 მაისის ჩათვლით პერიოდში.

კითხვა 4. შემიძლია თუ არა ჩემი ID-ის აღდგენა ტელეფონით?

დიახ, თქვენ შეგიძლიათ დარეკოთ Herbalife-ის ცხელ ხაზზე: +995 32 2 202929.



*ფასდაკლების პროცენტი შეიძლება შეიცვალოს ID-ის დაბლოკვის მომენტისთვის არსებული სტატუსის შესაბამისად.



კითხვა 5. შემიძლია თუ არა აღვადგინო ჩემი PIN-კოდი საიტზე MyHerbalife.com, თუ დამავიწყდა?

დიახ, თქვენ შეგიძლიათ თქვენი PIN-კოდის აღდგენა საიტზე MyHerbalife.com მას შემდეგ, რაც აღადგენთ ID-ის, თუ თქვენი კონტრაქტის/ განაცხადის მონაცემებში მითითებულია თქვენი მოქმედი ელ. ფოსტა. ასევე, თქვენ შეგიძლიათ PIN-კოდის აღდგენა Herbalife-ში, ცხელ ხაზზე დარეკვით.

კითხვა 6. როგორ აღვადგინო პირად კაბინეტში წვდომა, თუ არ მახსოვს log-in-ი და პაროლი?

მიმართეთ ტელეფონით საინფორმაციო მხარდაჭერის განყოფილებას თქვენი ქვეყნისთვის განკუთვნილ ცხელ ხაზზე. ოპერატორი მოგაწოდებთ ინფორმაციას და დაგეხმარებათ პირადი კაბინეტის მონაცემების აღდგენაში.

კითხვა 7. არსებობს თუ არა შეზღუდვები ID-ის მოქმედების ვადასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი პარტნიორების აღდგენის აქციაში მონაწილეობის კუთხით?

დიახ, არსებობს ზოგიერთი შეზღუდვა. კომპანიის პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის თანახმად, იმ დამოუკიდებელი პარტნიორების პერსონალური მონაცემები, რომელთა ID 10 წელზე მეტია, რაც არააქტიურია, იშლება კომპანიის სისტემიდან. ამ დამოუკიდებელ პარტნიორებს სტატუსის აღსადგენად დასჭირდებათ, რომ მიმართონ მათი ქვეყნის საინფორმაციო მხარდაჭერის განყოფილებას და წარადგინონ დოკუმენტების დამატებითი პაკეტი.

კითხვა 8. დამჭირდება თუ არა ყოველწლიური შენატანის გადახდა დამოუკიდებელი პარტნიორების აღდგენის აქციაში მონაწილეობის მისაღებად?

არა, შენატანის გადახდა საჭირო არ არის. გირჩევთ, რომ განათავსოთ შეკვეთა თქვენი ფასდაკლების გასააქტიურებლად მინიმუმ 100 ქულის ფარგლებში. შეკვეთა განთავსდება 35%, 42% და 50%-იანი* ფასდაკლებით. კომპანია შემოგთავაზებთ დამატებით 1 წლიან მომსახურებას საჩუქრად.

კითხვები და პასუხები



კითხვა 9. დამჭირდება თუ პროდუქტებზე შეკვეთის განთავსება იმისთვის, რომ დამოუკიდებელი პარტნიორების აღდგენის აქციაში მივიღო მონაწილეობა?

თქვენი ფასდაკლების აქტივაციისთვის გირჩევთ, რომ განათავსოთ შეკვეთა ნებისმიერ პროდუქტზე მინიმუმ 100 ქულის ფარგლებში. შეკვეთის განთავსება რუსეთის ტერიტორიაზე მიწოდების პირობით შესაძლებელია საიტზე MyDelivery.shop.

კითხვა 10. შეუძლია თუ არა სპონსორს, რომ აღადგინოს თავისი დამოუკიდებელი პარტნიორები, რომელთა ID ნომრები ადრე შეჩერებული იყო?

არ შეუძლია. დამოუკიდებელმა პარტნიორმა პირადად უნდა მიმართოს ცხელ ხაზზე Herbalife-ს თავისი ქვეყნისთვის განკუთვნილ ნომერზე, დაადასტუროს პერსონალური მონაცემები, ან მიმართოს გაყიდვების ცენტრს (რუსეთის გარდა).

კითხვა 11. დამჭირდება თუ არა რაიმე სახის დოკუმენტის წარდგენა დამოუკიდებელი პარტნიორების აღდგენის აქციაში მონაწილეობის მისაღებად?

სახელის შეცვლის შემთხვევაში აუცილებელია, რომ წინასწარ წარადგინოთ: სახელის შეცვლის ფორმის ორიგინალი, პასპორტის ასლი და ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტის (ქორწინების / განქორწინების მოწმობა ან სახელის ცვლილების მოწმობა) ასლი.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდა მისამართის და/ ან ჩაწერის შეცვლა, აუცილებელია მისამართის შეცვლის ფორმის, ასევე პასპორტის ასლის ატვირთვა ონლაინ მხარდაჭერის მეშვეობით პირად კაბინეტში, საიტზე: MyHerbalife.com.

კითხვა 12. შემიძლია თუ არა მე, როგორც სპონსორს კომპანიისგან მივიღო ჩემი არააქტიური დამოუკიდებელი პარტნიორების მონაცემები, რომელთა ID-ის მოქმედება ამ მომენტისთვის შეჩერებულია?

პერსონალური მონაცემების დაცვის წესების თანახმად, კომპანია არ გასცემს დამოუკიდებელი პარტნიორების/ პრივილეგირებული კლიენტების საკონტაქტო მონაცემებს, რომელთა კონტრაქტის/ განაცხადის მოქმედების ვადა დროებით შეჩერებულია. რიგ ქვეყნებში კომპანია დამოუკიდებლად აცნობებს დამოუკიდებელ პარტნიორებს აღდგენასთან დაკავშირებით მიმდინარე აქციის შესახებ.

კითხვები და პასუხები



კითხვა 13. სად შეუძლია სპონსორს, რომ იპოვოს ინფორმაცია მისი ქვემდგომი ორგანიზაციის შესახებ, რომლებიც დაბრუნდნენ დამოუკიდებელი პარტნიორების აღდგენის აქციის ფარგლებში?

სპონსორს შეუძლია ინფორმაციის ნახვა პირად კაბინეტში საიტზე MyHerbalife.com. BizWorks Plus-ის ნებისმიერ ანგარიშში "დამატებით პარამეტრებში" ხელმისაწვდომია ახალი სვეტების დამატება "უკან დაბრუნების თარიღი" და "უკან დაბრუნების კამპანია". დაგენერირებულ ანგარიშში "უკან დაბრუნების კამპანია" შესაბამის სვეტში აღნიშნული იქნება, რომ ქვემდგომი აღდგენილია ყოველწიური შენატანის გადახდის გარეშე აქციის ფარგლებში.

კითხვა 14. სად შეუძლია სპონსორს, რომ იპოვოს ინფორმაცია მისი ქვემდგომი ორგანიზაციის შესახებ, რომელთაც უკვე უწევთ ყოველწიური შენატანის გადახდა?

აღნიშნული ინფორმაციის ნახვა სპონსორს შეუძლია პირად კაბინეტში, საიტზე MyHerbalife.com. BizWorks-ის ანგარიშში "ორგანიზაციის აქტივობა PLUS" არსებობს ცალკეული ვიჯეტი - "გადაუხდელი ყოველწიური შენატანი". მასზე დაჭერით თქვენ მიიღებთ იმ დამოუკიდებელი პარტნიორების და პრივილეგირებული კლიენტების სიას, რომელთაც უკვე დაუდგათ ყოველწიური შენატანის გადახდის ვადა, მაგრამ გადახდა არ განუხორციელებიათ.

კითხვა 15. შემიძლია თუ არა სხვა სპონსორის არჩევა კონტრაქტის აღდგენის შემთხვევაში?

კონტრაქტის აღდგენა ხდება თავდაპირველი სპონსორის ქვეშ, თუ მისი კონტრაქტის მოქმედება შეჩერებულია - მაშინ პირელი ზემდგომი მოქმედი დამოუკიდებელი პარტნიორის ქვეშ. დეტალები შეიტყვეთ თქვენი ქვეყნისთვის განკუთვნილ ცხელ ხაზზე დარეკვით.

ტერმინები და მნიშვნელობები



აღდგენილი დამოუკიდებელი პარტნიორი, პრივილეგირებული კლიენტი ან სუპერვაიზერი – კომპანიაში მიმართვის მომენტში ID-ის მოქმედება უკვე შეწყვეტილი აქვს, ანუ სისტემაში დაბლოკილად ითვლება.

რეაქტივირებული დამოუკიდებელი პარტნიორი, პრივილეგირებული კლიენტი - მიმართვის მომენტში ID განაგრძობს მოქმედებას, მაგრამ ყოველწიური შენატანის გადახდის ვადა უკვე დამდგარია.

ყოველწიური შენატანი - ყოველწიურად, Herbalife-თან დადებული კონტრაქტის ძალაში შესვლის მომენტიდან აუცილებელია ყოველწიური შენატანის გადახდა. იმ შემთხვევაში, თუ ყოველწიური შენატანის დროულად გადახდა არ მოხდა, თქვენი კონტრაქტის მოქმედება დროებით შეჩერდება.